[illegible]

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

№ 364 1918 წ. ოთხშაბათი, ოქტომბრის 23. № 364

ბორჩალოს მაზრაში სომხის ჯარმა ჩვენი ტერიტორიიდან საზღვრისაკენ დაიხია. — შვეიცარიის პრესის ცნობით რუსეთში დაუხვრეტნიათ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. — ამერიკელები გერმანიასთან სეპარატიული ზავის შეკვრას აპირებენ.

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და შვილები მისი თალიკო და სოსიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარი მეუღლისა და დედიკოსი

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ცხრუკვეთში, მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ოქტომბრის 27-ს, დილის 10 საათზე. 2185

დეკანოზი იოსები და ოლღა პავლეს ასული წერეთლები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მათი უდროოდ დაკარგული უძვირფასესი შვილის

ვერა ვარაზაშვილის

მიცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ცხრუკვეთში მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ოქტომბრის 27-ს, დილის 10 საათზე. 2185

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს ქალ. ტფილისში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მისი ძვირფასი

ლევან გიორგის ძე წერეთელი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1286

ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, ქ. ტფილისში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

ლევან გიორგის ძე წერეთელი,

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლინი და მისი აღმზრდელი დეიდები, ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე, მიცვალებულის ბინაზე, არტილერიის ქუჩა № 5. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1286

საცოდავი გულდამწვარი დედა ანასტასია დავითის ასული, დები ნატალია დავითის ასული კალატოზიშვილისა, ელენე დავითის ასული ადამიძისა, ძმა ივანე დავითის ძე კიკნაძე ცოლ-შვილით და სიძე პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილი განსვენებულის მე-7-ე ქართული პოლკის კაპიტანის

ნიკოლოზ (კოლია) დავითის ძე კიკნაძის

ულრმეს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც დეპეშებით, წერილებით და პირადის ნახვით მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ნუგეში გვცა ჩვენს უეცარ თავზარდამცემ უბედურებაში. 2183

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე და ოლღა ალექსანდრეს ასული ნიკოლაძისა, შვილებით: რუსუდან, გიორგი და თამარით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 21-ს წუნარად მიიძინა ტფილისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პირველთ დისწულმა და უკანასკნელებს მამიდაშვილმა

ლევან გიორგის ძე წერეთელმა.

1286

ოქტომბრის 21-ს, ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თამარი დიმიტრის ასული პაპალაშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ღრმად დამწუხარებულნი მშობლები დიმიტრი და სოფიო და და სოფიო ქმრით გიორგით მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, ოქტომბრის 24-ს, დილის 10 საათზე კონსტანტინოვის ქ. 22 წმიდა მარინის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. 2182

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

ოთხშაბათს, ოქტომბრის 23-ს, **„ბორის გოდუნოვი“** ოპერა 3 მოქმ. მ. მუსორგსკისა

მომქმედნი პირნი: სპიტკო, იანსა, მოროზოვისა, ოვსიანიკოვისა, ვიშემირსკისა, ბერეზინი, მოლჩანოვი, ნიკოლსკი, ზუბარევი, იანევი, საბინინი, კურბატოვი, დემიანენკო, ეზროვი.

დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს. საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 24-ს „ქიდოვკა“.

[illegible] ქართული ლატარია 5,000,000 მან.

ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია.

ბილეთები იყიდება ყველგან, საცა კი გამოცხადებულია.

საინჟინერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდვებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან-საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელ სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, სამსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟინერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. 1375

ქართული სამუსიკო საზოგადოება

ქ. კონსერვატორიის დარბაზი

შაბათს, 1918 წ. ოქტომბრის 26-ს,

პირველი კონცერტი

კვარტეტი,

რომელზედაც შესრულებული, იქნება განსაკუთრებით გერმანული მუსიკა.

მონაწილეობენ: ნ. დ. ნიკოლაევი და ქართულ სამუსიკო სკოლის კვარტეტი.

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები იყიდება კრერის სამუსიკო მაღაზიაში (გოლოვ. პრ. № 8). 1374

ტფილისი, ოქტომბრის 23.

გალვიძებული მადა. ამ მსოფლიო ომის განმავლობაში ბევრი ლამაზი და ეფფექტიანი ლოზუნგი წამოიჭრა. ცხვრის ტყავში გახვეული იმპერიალისტური მგლები ლაპარაკობდნენ სამართლიანობისა, თანასწორობისა და მილიტარიზმის შესახებ. ამბობდნენ, რომ ისინი მხოლოდ თავს იცავენ, თორემ არავის საწინააღმდეგო არა აქვთ რა. რამდენჯერ გამოუცხადებიათ, განსაკუთრებით მოკავშირეებს—ჩვენ ვიბრძვით მცირე ერთა თავისუფლებისათვის, წონა სწორობისათვის და იმის წინააღმდეგ, რომ ვერავმა გერმანიამ მთელი ქვეყნიერება არ დაიპყროს. როგორც კი იგი ხელს აიღებს ამ განზრახვაზე, ჩვენც ომს შევსწყვეტთო. ასე რომ, ვისიმე განადგურება, ვისიმე საბოლოოდ დაცემა, თითქოს არავის ჰქონია მიზნად.

ჩვენ წინადაც ვიცოდით, რომ ეს ომი არსებითად იმპერიალისტური იყო, მაგრამ ყველა ერი, თავის თავი საფრთხეში რომ დაინახა და მის საზღვრებს რომ მიადგნენ—მედგრად შეებრძოლა მტერს. აქ შეიქმნა ეროვნული ფრონტის მთლიანობა და ნათლად გამოჩნდა აგრეთვე სიძლიერე ეროვნულ პრინციპისა. ამასაც აღვნიშნავდით და ვამბობდით: ეს ომი არსებითად იმპერიალისტურია, მაგრამ ეროვნული იდეის სიძლიერესაც ამტკიცებს, რადგან რაკი ომი დაიწყო, რაკი განადგურება მოელოდა რომელისამე ქვეყანას (ვისი მიზეზით, ხალხისათვის სულ ერთი იყო) მისი დემოკრატია ვალდებული იყო დაეცვა თავისი ტერიტორია და ეს მან პირნათლადაც შეასრულა. ხოლო თან და თან იფანტებოდა ბურუსი და ერები ჰხედავდნენ, რომ საბრძოლველი მათ არსებითად არაფერი ჰქონიათ, დაინახეს, რომ ისინი იმპერიალისტების ანკესზე წამოეგნენ. ყველა ქვეყნის გულწრფელ სოციალისტების მოვალეობა იყო ენერგიულად მოეთხოვნათ სისხლის ღვრის შეჩერება, მაგრამ ვერაფერს გაჰხდნენ.

თვით იმპერიალისტებიც დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთს ვერ მოსპობენ და საბოლოოდ ვერ დაამარცხებენ. იწყეს ლაპარაკი სასახელო და არავის დამამცირებელ ზავის ჩამოგდებაზე. ამას გაიძახოდნენ ყველანი და კერძოდ გერმანიამ 1916 წლიდან რამდენიმეჯერ მიჰმართა მოწინააღმდეგებს საზავო წინადადებით. მაშინ მდგომარეობა სხვანაირი იყო და მართლაც მოკავშირეებს შეეძლოთ ერთნაირი საბუთი ჰქონოდათ ეს წინადადება არ მიეღოთ. ეხლა ომის ღმერთმა მათაც გადმოხედა. შეიქმნა საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ საუბარი, მაგრამ აქაც გამოჩენა იქონია ბრძოლის ველის მდგომარეობამ. თუ წინად მოთხოვნილებანი ცოტა იყო, ეხლა ის გაიზარდა. მადა ჭამის დროს მოდისო, უთქვამთ ფრანგებს და სწორედ ასე მოსდით მებრძოლ სახელმწიფოებს. ისინი იმასაც კი უარყოფენ ძირიან-ფესვიანად, რასაც წინად თვითონვე აღიარებდნენ ომის გათავების პირობად როგორც ერკვევა, ვილსონის დეკლარაციები ტყუილი სიტყვები ყოფილა წამოყენებული იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგე მას ვერ მიიღებდა. გერმანია იმ მძიმე პირობებს, ვილსონმა რომ წარუდგინა, დაეთანხმა, მაგრამ ვილსონი უკან იხევს. ხოლო ინგლისის და ფრანგების იმპერიალისტები გერმანიის განადგურებას ჰკიჭობენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ხალხი მოიღალა და მშვიდობიანობა სწყურიან, მთავრობები მსოფლიოს კატასტროფას ამზადებენ. ევროპა ახლა ვულკანია, რომელიც არავინ იცის, როდის ამოჰხეთქავს.

არის ცნობები, რომ საბერძნეთ საფრანგეთში სამშვიდობო მანიფესტაციები იმართება, აგრეთვე იტალიაში და სხვაგან. ამავე დროს მოკავშირეთა იმპერიალისტები ინგლისსა და ამერიკაში გერმანიის განადგურებას მოითხოვენ. მგლებს მადა გაეღვიძათ და ჰლამობენ ისევ სისხლით მორწყონ ქვეყნიერობა. გასულმა ოთხმა წელმა მათ ვერაფერი ასწავლა. დღეს თავის სახელმწიფოს თვით გერმანიის ერი დაეპატრონა და იგი უფრო მეტის ენერგიით და ხალისით დაიცავს სამშობლოს, ხოლო მადა გაღვიძებული იმპერიალისტები თვითონვე სთხრიან იმ ორმოს, რომელშიაც ადრე თუ გვიან თვითონვე ჩაცვივიან.

საქართველოს განათლება

ჩვენი ქვეყნის განათლება მთავრობის ერთი უმთავრესი საზრუნავი საგანთაგანი უნდა იყოს. რუსეთის რეჟიმს ცხოვრების არც ერთს დარგში არ მოუტანია ჩვენი ეროვნული განვითარებისთვის ისეთი დიდი ზიანი, როგორც განათლების საქმეში. დაბალი სკოლა ყოვლად უხამსი და უსარგებლო იყო. სწორედ ამიტომ სასკოლო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვა ხალხს. უფსკრული იყო გათხრილი ხალხსა და სკოლას შორის. ცოტა სხვანაირ მდგომარეობაში იყო საშუალო სკოლა. აქ მშობლები უფრო ეტანებოდნენ სკოლას. მაგრამ ხიფათი სწორედ ამაში მდგომარეობდა. საშუალო სკოლა თავიდან ბოლომდე რუსული სკოლა იყო. იგი არუსებდა ჩვენს ყმაწვილებს არა მარტო ცოდნით, იგი არუსებდა მათ სულითა და გულითაც. მოწინავე ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ისე იყო ჩაფლული გამარუსებელ ქსელში, რომ [illegible] [illegible] ვერავითარ [illegible] გამოსავალს [illegible] ამ გამხრწნელი მდგომარეობიდან.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. დღეს მთელი მართვა გამგეობა ჩვენს ხელთ არის და ამიტომ მთელი სწავლა-აღზრდის საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მის განვითარებას წინ არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობოს. სკოლა, — დაბალი საფეხურიდან დაწყებული უმაღლეს საფეხურამდე, — ერთს მთელს ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს. სახალხო სკოლა საშუალო სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელი, — ყველა ესენი ისე უნდა იყოს აგებული ორგანიზაციულად და შეკრებილი შინაარსით, რომ განათლების საქმე არ დაბრკოლდეს და ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება მალე გამოვიდეს კულტურული განვითარების გზაზე. საუბედუროდ არ შეიძლება ეს თამამად ითქვას ჩვენი სკოლის შესახებ.

საქართველოს პარლამენტში ამ რამდენიმე ხნის წინად გამართულმა კამათმა ცხადჰყო ყველასთვის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ რუსული სკოლის ზეგავლენის ქვეშ ვიმყოფებით და ნათლად არ გვაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა მოვიქცეთ და რანაირ პოლიტიკას უნდა დავადგეთ თუ გვინდა სწავლა-განათლების საქმე რაციონალურ საფუძველზე დავამყაროთ. სურვილი სკოლის გაქართულებისა ყველა საფეხურზე ალბად, ძველი ტრადიციული აზროვნების ზეგავლენით, ისევ ნაციონალიზმად და შოვინიზმად ინათლება. კვლავ ამოტივტივდა ძველი ლექსიკონიდან სიტყვები, რომლებიც ჩვენ დამარხულად მიგვაჩნდა.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ჩვენის აზრით, სკოლა ხალხისთვის არის და არა ხალხი სკოლისთვის. ხალხისთვის საჭიროა ქართული სკოლა, ამიტომ ჩვენი ენერგია სავსებით იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რათა ამ ხალხს რაც შეიძლება მალე გაუჩნდეს როგორც კარგი სახალხო, ისე საშუალო და უმაღლესი სკოლა. მაგრამ უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ გადაგვარებული და გარუსებული ქართველობისთვის რუსული საშუალო სკოლა და რუსული უმაღლესი სასწავლებელი უფრო სასიამოვნო დაწესებულებს ყოფილა. პოლიტიკურად სუსტი ადამიანი, რომელსაც ნაციონალიზმის აჩრდილებისა ეშინიან, აქედან ასკვნის, დარჩეს საშუალო და უმაღლესი ისეთ პირობებში, როდესაც მას საშუალება მიეცემა შეისრულოს, როგორც ლოუბელმა, ყველა ასეთი გადაგვარებული ადამიანი. მიეცით თავისუფლება ისეთს წრეს ჩვენი საზოგადოებისას, რომელსაც რუსული გიმნაზია ქართულ გიმნაზიას ურჩევნიან და რუსული უნივერსიტეტი ქართულ უნივერსიტეტს, საშუალება მიეცით ამ გადაგვარებულ ელემენტს კიდევ ცოტახანს ავარჯიშოს თავისი მოწამლული გონება რუსულად.

რა თქმა უნდა, აქ რომ მხოლოდ კერძო პიროვნებათა ინტერესებზე იყოს ლაპარაკი, ორიოდ აზრი ამ საკითხის შესახებ არავის ექნებოდა. ყველა იმას იტყოდა, რომ თავისუფლება დაცული უნდა იყოს, მაგრამ უბედურობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში სისტემასთან გვაქვს საქმე და დღეს ჩვენში კულტურულ დაწესებულებათა კონკურენცია კი არაა სწარმოებს როგორც ეს „კარგს“ ინტერნაციონალისტებს ჰგონიათ, არამედ კონკურენცია ისეთს დაწესებულებათა, რომელთაგან ერთი ახლად ფეხ ადგმულ ქართულ სინამდვილეს ემყარება, მეორე კი იმ ტრადიციას, რომელიც შექმნა გამარუსებელმა პოლიტიკამ. და რადგანაც ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილი უკვე გარუსებულია, ტრადიცია სჯობნის სინამდვილეს და რუსულ სკოლასა და რუსულ უნივერსიტეტს, რომელსაც არავითარი გასამართლებული საბუთი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს სინამდვილეში,

ჩვენი გადაგვარებული ახალგაზდობა ეტანება.

გვაქვს თუ არა ჩვენ ზნეობრივი უფლება განვითარება ქართული საშუალო სკოლისა და ქართული უნივერსიტეტისა დავაბრკოლოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც რუსულ უნივერსიტეტსა და საშუალო სკოლაში სწავლა უფრო ეხერხებათ და ეხალისებათ? რასაკვირველია, არა. ხალხის, ფართო მასის კულტურულ ინტერესებს მსხვერპლად ვერ შევსწირავთ გადაგვარებულ უმცირესობას.

ერთხელ სრულიად შემთხვევით ასეთს საუბარს წავაწყდი. გიმნაზიელი თავის შთაბეჭდილებას უამბობდა ნაცნობს ქართული ისტორიის გაკვეთილ გვქონდაო, ამბობდა ის. შემოვიდა მასწავლებელი, დაიწყო გაკვეთილი; კლასში თანდათან სიცილი დაიწყო. ყურს არავინ უგდებდა, მოწაფენი ერთმანეთში ლაზღანდარობდნენ და ბოლოს კლასიდან გაპარვა დაიწყეს. ამის შემდეგ ქართული ისტორიის გაკვეთილი ჩვენ დროს გასატარებელ გაკვეთილად მიგვაჩნიაო. ასე უცქერის ჩვენი მოზარდი თაობა ქართული ისტორიის გაკვეთილს მას ისე ღრმადა აქვს გამჯდარი ძარღვებში შხამი გადაგვარებისა, რომ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ შეიძლება სერიოზულად მოექცეს ისეთს საგანს როგორიც არის საქართველოს ისტორია.

ალბად ასევე ფიქრობენ ის მშობლებიც და, როგორც ბოროტი ენები ამბობენ. „წარჩინებული“ მშობლებიც, რომლებმაც თავიანთი შვილები ქართული გიმნაზიიდან გამოიყვანეს და რუსულ გიმნაზიებში მიაბარეს ალბად ასევე ფიქრობენ ის სტუდენტებიც, რომლებმაც ქართულ უნივერსიტეტს თავი აარიდეს და რუსულ უნივერსიტეტში შევიდნენ.

უნდობლობა და უპატივცემლობა თავისი საკუთარი ძალებისა ყოველთვის და ყველგან ყოფილა დამახასიათებელი თვისება ერის გადაგვარებული, გახრწნილი ელემენტისა. უდიდეს საფრთხეს ჩვენ სწორედ ამ სულიერ გახრწნილებაში ვხედავთ გადაგვარების იმ შხამში, რომელიც თვით ჩვენს სხეულში არის შესული. საჭიროა უსასტიკესი და დაუნდობელი ბრძოლა ამ მოწამლულ ატმოსფეროსთან, საჭიროა დრაკონიასებური კანონები იმათ წინააღმდეგ ვინც თავისი გადაგვარებული სულით წინ ეღობება ჩვენი კულტურული განახლებისა და გაძლიერების საქმეს. უპირველესად ყოველისა ქართველს, ვინც უნდა იყოს იგი და რა მოსაზრებითაც არ ხელმძღვანელობდეს, უნდა ეკრძალოს არა ქართულ სკოლაში სწავლა ჩვენ გვაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ხაზინაც თუ რამ გააჩნია თავის გაფხეკილ ჯიბეში, სახელმწიფოებრივი დახმარება მხოლოდ მას უნდა აღმოუჩინოს. დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლები უნდა დარჩნენ კერძო სასწავლებლებად. ერთს წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე დათმობა ამ სფეროში იქნება დაჩოქება იმ გახრწნილების წინაშე, რომელსაც ქვიან ჩვენი ერის ნაძალადევი გარუსება. ამ პოლიტიკის ნაყოფსა და შედეგს უნდა ვებრძოდეთ მთელის ჩვენის ძალღონით, რადგანაც გარუსების შხამი მოდებული აქვს მოწინავე ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას და არა ხალხს, რომელიც სულ სხვანაირ საფუძველზე დამყარებულ სწავლა აღზრდას საჭიროებს.

ამას მოითხოვს აგრეთვე პოლიტიკური საჭიროებაც. იგივე გადაგვარებული და გახრწნილი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ფიქრობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა რაღაც გარდამავალი ფორმაა არსებობისა, რომელსაც დღეს არა ხვალ ბოლო უნდა მოეღოს. ასე ფიქრობს ის მრავალრიცხოვანი რუსობა, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილია ჩვენში, ასევე ფიქრობენ ზოგიერთი ქართველებიც. ხელის ერთი დაკვრით ბოლო უნდა მოეღოს იმ ილიუზიას და მთელის ჩვენის მოქმედებით, მთელის ჩვენის პოლიტიკით დავუმტკიცოთ ყველას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთი ფორმაა ჩვენი არსებობისა, რომელზედაც უბრძოლველად და ნებაყოფლობით ხელს არ ავიღებთ.

სხვებს ჩვენ ვერ ავუკრძალავთ იცხოვრონ და ისწავლონ ისე, როგორც თვით მათა ჰსურთ. თუ სომხობისთვის უფრო სასურველი და ხელსაყრელია რუსულად სწავლა, ისწავლონ. ნაციონალიზმი და შოვინიზმი ის იქნებოდა, ისინი რომ ვალდებული გაგვეხადა ქართულად ესწავლათ. ჩვენ ასე არა ვფიქრობთ. ნაძალადევი გაქართველება არა ქართველებისა ისეთივე ნაციონალიზმი იქნებოდა, რანაირიც იყო ქართველების ნაძალადევი გარუსება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ფაქტი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა თავის თავად ქართული ენის შესწავლის სტიმულად გადაიქცევა. მაგრამ თუ გვინდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა ცარიელ სიტყვად არ დარჩეს, საჭიროა ჩვენი სულიდანა და გულიდან აღმოიფხვრას ყოველივე ნაშთი გამარუსებელი პოლიტიკისა, ეს უკვე ნაციონალიზმი და შოვინიზმი კი არ არის, ეს არის ბრძოლა რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმისა მემკვიდრეობასთან.

დადგა დრო, როდესაც ფართოდ უნდა გაიშალოს კულტურული შემოქმედება ქართველი ხალხისა. საშუალო სკოლამ გზა უნდა გაუხსნას უმაღლეს სკოლისკენ ხალხს და ეს კი მოსახერხებელი და შესაძლებელი გახდება მხოლოდ ქართული სკოლის შემწეობით. ამიტომ რუსული სკოლის სახით შემოჭრილი დაბრკოლება აუცილებლად გადალახულ უნდა იქმნას და მთელი სისტემა ისე უნდა მოეწყოს, რომ გარედან შემოჭრილმა ძალამ არ დაარღვიოს მთლიანობა ამ სისტემისა.

ვინც ამ გზას გადაუხვევს, ის საშვილიშვილო დანაშაულობას ჩაიდენს ერის კულტურული აღორძინების საქმის წინაშე.

არ. ჯაჯანაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

ოქტომბრის 18-ს სომხეთის რესპუბლიკის ჯარმა იწყო ბორჩალოს მაზრის შუაგულში შეჭრა. სომხის ჯარი მიდიოდა რკინის გასწვრივ ჩ სანაინს მიუახლოვდა და ჰლამობდა ამ სადგურის დაჭერას. აქ მდგომმა გერმანელთა დარაჯებმა პროტესტი განაცხადეს. სომხის ჯარმა უკან დაიხია და კობერთან დაბანაკდა. სულ იყო ორი პოლკი.

—

საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლებლად მთავრობამ გაჰგზავნა ორი ჯავშოსანი მატარებელი გოგუაძის მეთაურობით, რომლისაგანაც მთავრობას მოუვიდა ის ცნობა, გუშინ რომ იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი. ჩვენი ტერიტორია სომხის ჯარისაგან განთავისუფლებულია.

ზავის გარშემო

გერმანიის პრესა. ოქტომბრის 20. გააგა. ვაშინგტონიდან „ტაიმსს“ ატყობინებენ: ავსტრო-უნგრეთის ნოტის შესახებ, სამშაბათს, ვილსონს ბჭობა ჰქონდა ლანსინგთან. განსაკუთრებულ კომისიას მინდობილი აქვს ავსტრო-უნგრეთის ნოტის შესწავლა. ფიქრობენ რომ ნოტას, რომელსაც ახლო მომავალში მოელიან, ზომიერი კილო ექნება.

მიუნჰენი ხმები, ვითომ ბავარიას სეპარატიული ზავის წინადადება მისცეს, სიმართლე არაა.

ბერლინი. გერმანიის საპასუხო ნოტა ვილსონს კვირას ეგზავნება.

გააგა. ნეიტრალურ სახელმწიფოებში გავრცელდა ხმა, რომ თუ შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობებმა უარყვეს გერმანიასთან ზავის შეკვრა ვილსონის 14 პუნქტის საფუძველზე, ის შემთხვევაში ამერიკა სეპარატიულ ზავს შეკრავს გერმანიასთან და საფრანგეთიდან თავის ჯარს გამოიყვანს. ამერიკის ხელშეკრულობის თანახმად ვილსონს აქვს უფლება გამოსცეს ასეთი ბრძანება.

ბერლინი. მთავრობის წრეებში განაცხადეს, რომ გერმანიის საპასუხო ნოტის მთავარი მიზანია გაიგოს ნამდვილი პირობები, რომელზედაც მოკავშირეებს სურთ ზავის შეკვრა.

ბერლინი. გერმანიის უმაღლეს სამხედრო გამგეობის წარმომადგენელმა პოლიტიკურ კრების დროს სამხედრო საქმეებზე, განუცხადა დეპუტატებს, რომ გერმანია არაა იძულებული შესწყვიტოს ომი, მას კიდევ შეუძლია გააგრძოს ომი და არ დამარცხდეს. ამ განცხადებამ დიდი გავლენა იქონია ვილსონის საპასუხო ნოტაზე.

ჟენევა. „ლიონის პროგრესი“ იუწყება, რომ ვატიკანს ვილსონის პასუხმა იმედი გაუცრუვა

ბერნი. საფრანგეთის სოციალისტურ გაზეთებში გამოქვეყნებულია მოწოდება, სადაც დეპუტატები მიმართავენ საფრანგეთის მუშებს. მოწოდება მოაგონებთ მათ ცენტრალურ სახელმწიფოების ზავის პირობებს და სთხოვს მუშათა კლასს ამ გადამწყვეტ მომენტში დაივიწყონ სიძულვილი და მზად იყონ ხალხის უფლებებისა და ზავის დასაცავად.

ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი 21 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში, ლისის სექტორში, ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა. მტერი შემოიჭრა ზომერგენში, მაგრამ კონტრ-იერიშით ისევ განვდევნეთ. დეინძეზე ორივე მხარეზე მტერი გამაგრდა ლისის დასავლეთ ნაპირზე. ჯარის ნაწილი, რომელიც მდინარეს აქეთ შემოიჭრა დავატყვევეთ. ფრანგების მცირე ჯგუფი გამაგრდა აღმოსავლეთ ნაპირზე კორტრიკის აღმოსავლეთით მტერი შემოიჭრა დორლიკის და ზვევეგემის აქეთ. მაღლობებზე, ვიხტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. შელდის ჩრდილოეთით ჩვენი პოზიციების წინ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ტურნეს ჩრდილოეთით მტერმა მიაღწია შელდას. ტურნეს სამხრეთით დენენის აღმოსავლეთით მტერთან ბრძოლა გვაქვს სენ-ამანის ხაზზე და მაღლობებზე ხასპრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ აღმოსავლეთით სოლემის ორივე მხარეზე და ლე-კატოსთან მტერმა 17 და 18 ოქტ. იერიშები გააფართოვა. ლე-კატოსა და უაზის შუა გუშინ დიდი ძალებით მტერმა კვლავ ძლიერი იერიში მოიტანა სომბრეგის (და ფერტოენგის შუა.) ხარპის დაბლობის დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სოლემსის ორივე მხარეზე მტერმა გაარღვია ჩვენი წინა ხაზი, მაგრამ მაღლობებზე, ქალაქის აღმოსავლეთით სამხრეთ-დასავლეთით მტერი შევაჩერეთ. ჩვენ მიერ დატოვებული რომერი და ომენკალი კონტრ-იერიშით ისევ დავიბრუნეთ. ლე-კატოს ორივე მხარეზე, ძლიერი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი პოზიციები. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა ბრანდენბურგის 44 დივიზიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ჰაასი მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში მტერმა მრავალი სამხედრო მასალა დახარჯა, 20 კილომეტრ ფრონტზე, ჩვენი ჯარის სიმამაცის გამო მან ძლიერ მცირე ტერიტორია მოიგო.

გერმანიის კრონპრინცის არმია. სერის ჩრდილოეთით ლაონმარლის გზატკეცილის ორივე მხარეზე მტერმა იერიშები განაახლა კონტრ-იერიშით ჩვენ დავიბრუნეთ მტრის ხელში გადასული პოზიციები და მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ მდინარე ენის დასავლეთით, აღმოსავლეთ პრუსიის ბატალიონებმა და ბრძოლაში გამოცდილ 231 პოლკმა მოიგერია მტრის იერიში და თავის პოზიციები დაიბრუნა. ვუზიერის აღმოსავლეთით მტერი შეეცადა ოქტომბრის 19-ს გამარჯვების გაფართოვებას, მაგრამ 411 პოლკმა და ბავარიის 24 პოლკის მეშვიდე როტამ მტერს ცდა უნაყოფოდ ჩაუტარა.

პალვიცის არმია. ბონტეფილის აღმოსავლეთით ამერიკელების იერიში მოვიგერიეთ. მაასის ორივე მხარეზე უმნიშვნელო შეტაკებებია.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. მორავაზე ჩვენ მოვიგერიეთ სერბიელების განახლებული იერიშები.

სტამბოლი, ოქტ. 21 სამხედრო ცნობა. ფრონტებზე სრული სიწყნარეა.

ვენა, ოქტ. 21. სამხედრო ცნობა. ფრონტებზე აღსანიშნავი არაფერია მომხდარა. სამხრეთ მორავას ორივე მხარეზე სერბიელების იერიშები მოვიგერიეთ. ცაისკარის დასავლეთით, მთებში, სერბიელების იერიშები ძლიერდება.

ბერლინი, ოქტ. 21. საღამოს სამხედრო ცნობა ფრონტებზე მტერი აწარმოებს კონტრ-იერიშებს, რომელთაც ჩვენ ვიგერიებთ. მდინარე ენის აღმოსავლეთით. ვუზიერის ორივე მხარეზე მტრის მიერ დაჭერილი მაღლობის წინააღმდეგ კონტრ-იერიშებს ვაწარმოებთ და ვიმარჯვებთ.

უცხოეთი

კიევი გადადგა უკრაინის კაბინეტის სრული შემადგენლობა. მინისტრ-პრეზიდენტი და სხვა მინისტრები იმუშავებენ ახალ კაბინეტის შედგენამდე. ფიქრობენ, რომ კაბინეტის შემადგენლობა შემდეგი იქნება: თავმჯდომარე—ლიზოგუბი, საგარეო საქმეთა მინისტრი—დოროშენკო, სამხედრო—როგოზა, კულტურის—ლოტოცკი, მეურნეობის—ჩიკლენკი, ვაჭრობა-მრეწველობის—ბოროდაევსკი. საზოგადოებრივი მუშაობის მასლოვი, იუსტიციის და ფინანსების—როგეპიცკი, შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილზე ჯერ არავინაა. სამინისტროს გამგეთ იქნება მინისტრის ამხანაგი რეინბოტი ჯანმრთელობის მინისტრი—ლიუბინსკი, რკინის გზის—ბუტენკო და და მზრუნველობის—ზერიოლი.

სტოკჰოლმი. ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთში ხდება სამოქალაქო ძალების შეერთება. გადაწყვეტილია აღადგინონ მონარქია დემოკრატიულ საფუძველზე.

საღვთო სჯულის სწავლების საკითხი *)

სკოლის შინაგან მოწყობაში დამოკიდებულება სკოლასა და სარწმუნოების სწავლების შორის ყველგან დიდსა და ცხარე კამათს იწვევს. ეს საკითხი ამ ჟამად ჩვენშიაც სადაო საკითხად არის გადაქცეული. მართლაც სარწმუნოების საკითხი ყველგან იმდენად რთული და მძიმე გადასაჭრელია, რომ მისი გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება ერთნაირად ყველგან შეუძლებელი ჰდება. ყოველი სოციალისტი სარწმუნოებას კერძო საქმედ აღიარებს, ყველა სოციალისტს საჭიროდ მიაჩნია მოისპოს როგორც ყოველგვარი გადასახადი სარწმუნოებისა და ეკლესიის საჭიროებისათვის, აგრეთვე საღვთო სჯულის სწავლებაც სკოლებში, სადაც მხოლოდ საერო სწავლა-განათლება უნდა იქმნეს შემოღებული. ამას დიდს მნიშვნელობას აძლევენ ყველა სოციალისტური პარტიები. მაგ. გერმანიის ს.-დ. პარტია აღიარებს: „თუ რელიგია კერძო საქმედ უნდა იქმნეს ცნობილი და ზრუნვა მის შესახებაც კერძო კავშირების საქმეა, თანდათანობით მსჯელობას იქამდის მივყევართ, რომ სკოლას, რომელიც განურჩევლად ყველას ასწავლის და მთელი საზოგადოების ინტერესებს იცავს, საერო ხასიათი უნდა ჰქონდეს. სკოლის მიზანია მოზარდის გონების განვითარება, განსაზღვრული მეცნიერების შესწავლა, ნამდვილი ცოდნის გადაცემა, ახალთაობის გონების განათლება. თავმის აღზრდაში სარწმუნოებრივი მოსაზრებანიც რომ ჩავურთოთ, დიდი შეცდომა იქნებაო, ამიტომ ეკლესიის წარმომადგენლნი განათლების საქმესთან არ მიიშვებიან; რელიგიოზური აღზრდა სრულიად გამორიცხული უნდა იქმნეს სასკოლო პროგრამიდან, თუნდაც მშობლებსაც სურდეთ მისი სწავლებაო. ეს უნდა მიეხდოს თვითონ მშობლებს, ან იმ რელიგიოზურ საზოგადოებას, რომელსაც მშობლები ეკუთვნიანო. სკოლა კი ნამდვილი საერო დაწესებულებაა და მას ამა თუ იმ სარწმუნოებასთან არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. სკოლამ ცოდნა უნდა გადასცეს მოწაფეს და კარგის აღზრდით სული გაუფაქიზოს, გულში თავისუფლების სიყვარული ჩაუნერგოს და მოქალაქის უფლება-მოვალეობანი ჩააგონოს. სკოლამ უნდა მოგვცეს განათლებული ადამიანები, კარგი მოქალაქენი და არც შეიძლება, რომ იგი ამა თუ იმ სარწმუნოების მიმართულების იარაღად გახდეს. რელიგიოზური, საეკლესიო კავშირები, რომელსაც ამა თუ იმ სარწმუნოების მოქალაქენი შეადგენენ, უნდა სარგებლობდნენ თავისუფალი თვითმართველობის განუსაზღვრელობით.

როგორ მიდის იმ კავშირების მართვა-გამგეობის საქმე, როგორია მათი რწმენისა და ცხოვრების პრინციპები, ეს მხოლოდ მათს წევრებს ეხება, რელიგიოზური საზოგადოების კანონები და მათი საფუძვლები წინააღმდეგი იქნება თუ არა აწინდელის მეცნიერებისა, ხელს უწყობს თუ ხელს უშლის იგი განათლების გავრცელებას, ამას სახელმწიფოსთვის მნიშვნელობა არ აქვს. სახელმწიფო არ შეიძლება გახდეს ჯალათად, რომელიც ჰპოიკავს მოქალაქეთა თავისუფალს აზრს გონებრივი განვითარება დროს განმავლობაში ყოველგვარ ბარბაროსულ [illegible] თავიდან იშორებს. სწავლება საზოგადოების საქმედ უნდა გახდეს. ამ საქმეში სამღვდელოების ჩარევას კი სოციალისტურ წრეებში ყველგან სასტიკად ჰგმობენ. ცნობილი გერმანელი პედაგოგი სოციალისტი რიულე ამბობს: „მეტის მეტი შეუფერებლობაა და უაზრობაა, როცა სასულიერო პირს, რომელსაც პედაგოგიკაში და საერთოდ აღზრდის საქმეში არა გაეგებარა, მასწავლებლის მუშაობის მეთვალყურედ ჰნიშნავენ. მეთვალყურეს მხოლოდ მაშინ შეუძლიან — სარგებლობა მოუტანოს სკოლასა და მასწავლებელს, როცა იგი სკოლასა და სასკოლო საქმეებს კარგად იცნობს, თეორიულად და პრაქტიკულადაც აღზრდის საქმეში დახელოვნებულია და თავის მოქმედებით იმისთანა რასმე არ მისდევს, რაც სახალხო სკოლის ჭეშმარიტ დანიშნულებას პირდაპირ ეწინააღმდეგება და რასთან თვისი შინაგანი არსებობით პროგრესისა და კულტურის მტერი არ არის.

1882 წელს საფრანგეთმა შექმნა სარწმუნოებისაგან თავისუფალი სკოლა. სკოლის ეკლესიიდან ჩამოშორებას შედეგად სკოლებში სავალდებულო სიაერული მოჰყვა... სხვანაირად ეს საქმე თავისუფლებისა და ღირსების შეუფერებელია, რაც ყოველგვარ რელიგიოზურისა და ფილოსოფიურის რწმენის დამახასიათებელია. რაც რწმენა მშობლებს აქვთ, იგი მომავალში შვილებსაც ექნებათ, მასწავლებლებსაც თავისებური რწმენა აქვთ, რადგანაც, მათაც, როგორც ყოველს, უფლება აქვსთ მოწოდების არჩევისა მიუხედავად თვისი მსოფლმხედველობისა და რელიგიოზური რწმენისა. სახალხო სკოლა კი, როგორც საერთო ყველასათვის, არ შეიძლება ერთს რომელსამე რელიგიოზურ შეხედულობაზე იქმნეს დამოკიდებული, იგი არ შეიძლება არც რელიგიოზური იყვეს არც ანტირელიგიოზური, მაშასადამე იგი უნდა იქმნეს საერთო, საქვეყნო ნეიტრალი სკოლა“.

სკოლისა და სარწმუნოების შორის ურთიერთობას სოციალისტური თვალსაზრისით ასე წარმოგვიდგება: „არც ერთს მშობელს არ უნდა აეკრძალოს შვილის აღზრდა იმ სარწმუნოების მიხედვით, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია, არ ძალა უნდა დაატანონ ვინმე, რომ შვილები რელიგიოზურ აღზრდაში საზოგადოებრივ ძალასა და უფლებაში ემორჩილებოდეს. საერთო სკოლა“ რომელსაც ს.-დ. მოითხოვენ, რელიგიის, სწავლების სრულს თავისუფლებას ანიჭებს, როგორც მშობლებს ისე ეკლესიასაც, იგი რელიგიის სწავლებას იცავს სახელმწიფოს მზრუნველობისა და ყოველგვარ საერო ელემენტების ჩარევისაგან. ეკლესიამ არ უნდა და ვერც ითმენს ძალადობას და ვერც ეკლესია გამოიჩენს სხვაზე ძალმომრეობას. ეკლესიაც ამ აზრს უნდა იზიარებდესო, ამბობს შტამპფერი.

მაგრამ არიან სოციალისტებიც, რომელთაც სახელი ღმერთიც კი საშიშრად მიაჩნიათ. კაუტსკის „აგრარულ საკითხში“ ვკითხულობთ: „ყოველგვარი ღმერთი საკმაოდ საშიშია. ისტორიაში ღვთის სახელი ყველაფრის გამანადგურებელი და დამსხვრევი კეტია, რომლითაც წინასწარმეტყველები და წერილმანი გენიოსები ხალხის თავისუფლებას, მის ღირსებას, გონებასა და კეთილმდგომარეობას სპობდნენ. არარაისაგან არა შეიქმნების რა როცა რუზველტი ერთს დილაზე ცალის თითის დაჭერებით ამოძრავებდა აუარებელს მანქანებს გამოფენაზე, ამავე დროს გაისმოდა მუსიკის გრიალი, ამოძრავდა ვეებერთელა შადრევნები, ელვარებდა ფერად-ფერადი სინათლე, ურიცხვი დროშა აფრიალდებოდა, ტრამვაი ამოძრავდებოდა და ყველა ეს, ცალი თითის მოძრაობით, სასწაულზე უფრო მოჩვენებაა, მაგრამ არ არის სასწაული, არამედ არის მხოლოდ შედეგები ხელისა გონების უზარმაზარ შემოქმედებისა, შედეგი საუკუნოებით მუშაობისა, ნაყოფი წინაპართა მოღვაწეობისა რომელთაც შრომისა და გამოცდილების სიმდიდრე დაუგროვებიათ. რადგანაც თავდაპირველად შემეცნება ხელის ფათურით მიდიოდა და შემდეგში კი მეცნიერული გახდა, იგი ამ ჟამად უფრო ბუნებრივია და შეადგენს ერთად ერთს საფუძველს შრომის ნაყოფიერებისას, შემეცნება ისეთივე ეკონომიური საქმეა, როგორც შრომა; თეორია და პრაქტიკა არსებითად ორი აქტია შრომისა“.

პროფესორი დოდელი მთელს თავის სიცოცხლეში არკვევდა საკმაო სასკოლო საკითხს: მოსე თუ დარვინიო და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ჩვენი სკოლები სიზიფის შრომას ასრულებენო, ბავარიის დეპუტატი გებელი, რომელიც პასტორია და ამასთან სკოლების მეთვალყურეც, საჯაროდ, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით აღიარებდა: „იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ასწავლიან, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს და ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვაო, თავი უნდა მოეკვეთოს უნივერსიტეტის პროფესორი იქნება იგი, თუ სკოლის მასწავლებელიო. (რიულე გვ. 16).

(შემდეგი იქნება).

ლ. ბოცვაძე.

---

*) ამოღებულია ვრცელი სტატიიდან „სოციალიზმი და სახალხო განათლება“, რომელიც მოკლე ხანში ცალკე წიგნაკად დაიბეჭდება. ავტორი

ჟენევა. შვეიცარიის პრესას ატყობინებენ ცარსკოე სელოდან, რომ რუსეთის არმიის ყოფილი მთავარსარდალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე დახვრიტეს ღამით 15 ოქტომბერს.

ახალი ამბავი

◆ **ბათომის პარტიზანული პოლკი** აცხადებს, რომ პარტიზანებისათვის მიცემული ყოველგვარი მოწმობა პოლკისაგან ამიერიდან გაუქმებულია და ძალა აღარა აქვს.

◆ **დატუსაღება.** განსაკუთრებულმა რაზმა სპეკულიაციისთვის დაატუსაღა ე. არუთინიანცი, გ. თუმანოვი, ს. აზნაცოვი და ბ. პოპოვი.

◆ **საქართველოს ჯარების შედგენა და გაწვრთნა.** სამხედრო სამინისტროში მიღებულ ცნობების თანახმად საქართველოს ჯარების შედგენისა და გაწვრთნის საქმე ნაყოფიერად სწარმოებს. ზოგიერთი ნაწილის კომპლექტი უკვე სავსებით შეივსო.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ი. ვ. აფაქიძე, ვიცე-დირექტორის საქმეთა დროებით აღმასრულებლად—ნ. კ. ჩიკვაიძე, ადმინისტრატიულ განყოფილების უფროს თანამდებობის აღმასრულებლად ვ. ნ. მგალობლიშვილი.

◆ **ოფიცერთა მომზადება.** ვინაიდან რამოდენიმე უკვე შემუშავდა და გამოიცა სამხედრო წესდება, ტერმინოლოგია და მოსამზადებელი წესი და მოკლე ხანში მის განხორციელებას უნდა შეუდგეს სამხედრო უწყება, ამის გამო სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა რათა ლაშქრის ყველა ნაწილმა დანიშნოს ორი ობერ-ოფიცერი, რომელთაც კარგად იციან ქართული ენა, რათა შეისწავლონ ტერმინები და ოფიცერთა შემადგენლობას სათანადოდ მოამზადონ.

◆ **სამხედრო დეპეშების უფასოდ მიღება.** სამხედრო მინისტრმა მთავრობაში შეიტანა მოხსენება, სადაც მოითხოვს, რომ საზღვრებზე მყოფ ჯარის ნაწილებისაგან ყველა რკინის გზის სადგურმა და ფოსტამ უფასოდ გადაგზავნოს სამხედრო ხასიათის დეპეშები.

◆ **მინისტრის ბრძანება** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა სადაც აღნიშნა, რომ მიუხედავად სადისციპლინო წესის გამოცემისა, რომელიც ოფიცრებს უკრძალავს. ჩემთან უშუამავლო დამოკიდებულებას მაინც ბევრი ოფიცერი მომმართავს პირადად, რითაც არღვევს სამხედრო დისციპლინასაო. ამიტომ მინისტრი ბრძანებს შემდეგში ასეთი დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიანო

◆ **გაძარცვა.** ოქტომბრის 21-ს საღამოს სასტუმრო „მირ“-ში შევიდნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაიტაცეს 8,000 მანეთი.

◆ **საქსოვი ქარხანა ერევანში.** არარატის რესპუბლიკის მთავრობას გადაუწყვეტია ერევანში დაარსოს საქსოვი ქარხანა, რისთვისაც მთავრობას 60,000 მანეთი გადაუდვია.

◆ **შიმშილი მეტეხის ციხეში** მეტეხის ციხეში ბოლშევიკმა ტყვეებმა შიმშილი გამოაცხადეს. მათ შორის ბუდუ მდივანი და ნ. ცულუკიძეც ურევია.

◆ **პოეზიის საღამო.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება საღამო რუს პოეტების ცეხის „კალჩუგასი“. საღამოში მონაწილეობენ, რუს პოეტებისა და მხატვრებისა გარდა ქართველი „ცისფერ ყანწების“ პოეტებიც.

◆ **რევიზია.** მიხეილის საავადმყოფოში დაწყებული რევიზია დასრულდა.

◆ **ვ. მუსხელიშვილის საქმის გამო.** ქართველ სამხედრო ექიმთა პირველ ყრილობამ იქონია რა მსჯელობა საქართველოს რკინის გზის კავშირის ექიმ მუსხელიშვილის პიროვნების შელახვის შესახებ, ერთხმად დაადგინა გამოუცხადოს მას თანაგრძნობა და ღრმა პატივისცემა, თანაც გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამ ინციდენტის შესახებ და ბოიკოტის ქვეშ აცხადებს მის ადგილს რკინის გზის საავადმყოფოში.

სამხედრო ექიმთა ყრილობის მონდობილობით პრეზიდიუმი.

◆ **სახალხო მასწავლებელთათვის გამართული კურსები.** კურსები დაიწყო აგვისტოს 1-ს, და დამთავრდა ოქტომბრის 1-ს. სულ წაკითხულ იქმნა 182 ლექცია: ქართულ ლიტერატურისა—18 საქართვ. ისტორია—21, ქართული გრამატიკა—14, გეოგრაფია—12, პედაგოგიკა, დიდაქტიკა, მეთოდიკა—23, არითმეტიკა—17, გეომეტრია—12, ბუნებისმეტყველება—15.

წერითი გამოცდები ჩააბარეს ხუთ საგანში: ქართულ ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში და ორი მეთოდიკური ხასიათისა (ქართული ენა და არითმეტიკა).

მოწმობები მიიღეს სულ 49 მსმენელმა, მხოლოდ მათგან 12 კაცს დაევალა ორი თვის პრაქტიკული მუშაობა სკოლაში და შემდეგ გაკვეთილების მიცემა კომისიაში.

◆ **გრაფი შულენბურგი.** ოქტომბრის 20-ს, ბერლინიდან ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში გრაფი შულენბურგი.

◆ **სანაინში.** სანაინის სადგურის უფროსი საქართველოს რკინის გზათა სამართველოს დეპეშით ატყობინებს, რომ სადგ. სანაინში მოვიდა მატარებელი სომხებით, რომელთაც საქართველოს მთავრობისაგან ნებართვა არ აღმოაჩნდათ საქართველოს საზღვრებისაკენ გავლის. სადგურის უფროსი სთხოვს სამმართველოს საჩქაროდ მაცნობეთ, როგორ მოვექცე ამ მატარებელსაო.

◆ **შახატუნის ცხედრის გასვენება.** შახატუნის ცხედარი ოქტომბრის 20-ს, ბინიდან ვანქის საკრებულო ტაძარში გადაასვენეს. მას ქ. ერევანში დაკრძალავენ.

◆ **თათბირი სასამართლოს გაერთიანებისათვის.** ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, დილის 11 საათზე იუსტიციის მინისტრის კაბინეტში მოწვეულ იქმნა საგანგებო თათბირი საქართველოს სასამართლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სამსჯელოდ. თათბირზე, თანამდებობის პირთა გარდა, მოწვეული იყო მთელი შემადგენლობა პარლამენტის იურიდიულ კომისიისა.

◆ **დანიშვნანი.** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ნაფიცი ვექილი ვ. თ. ჟორდანია, ხოლო უფროს იურისკონსულტად სენატორი ბ. ნ. სმიტტენი.

◆ **გადასახლების საქმე.** ქართველ უმიწაწყლო გლეხთა გადამსახლებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ყველა ის პირები, ვინც 15 ამ თვის კრებაზე ჩაეწერნენ ყარაიაზში ჩასახლების მსურველთა სიაში და აგრეთვე მათ, ვისაც სურს ყარაიაზში ჩასახლება მიმართონ კომიტეტის წევრებს, ვინც სურვილი განაცხადა დამატებითი ცნობების მისაღებად და გამგზავრების პირობების გასაგებად უეჭველად ორი დღის განმავლობაში. პირადათ და დამატების ცნობების მისაღებად: 1) სასახლეში ოთახი 38 ორ საათამდე კომიტეტის მდივანთან გ. კილასონიასთან; 2) პეტრე-დიდი, ქუჩაზე № 18 პროფესიონალური კავშირი ოთახი 13 კომიტეტის წევრი მიხა სამარგულიასთან; 3) ნათლუღში ადელხანოვის მუშათა პროფ. კავშირის კანტორაში კომიტეტის წევრთან გიგო ბასილაშვილთან. ყრილობით პროვინციებიდან მიმართეთ კომიტეტის თავმჯდომარე ზაქარია ბიჭაშვილს მიწათმოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში.

◆ **ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანმა უარყო ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა შუამდგომლობა, რომლითაც ისინი ახლანდელ ფაკულტეტზე მეორე კურსის ახლავე გახსნას მოითხოვდნენ.

◆ **დანაშაული და სასჯელი.** ოქტომბრის 16-ს სამხედრო სასამართლომ გაარჩია განსაკუთრებული მფრინავ რაზმის ჯარის კაცის ილ. ფარსმანიშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ამავე რაზმიდან ვინტოვკის მოპარვა. სასამართლომ ფარსმანიშვილი დამნაშავედ იცნო და 2 წლისა და 6 თვის გამასწორებელ რაზმში ყოფნა გადაუწყვიტა.

◆ **ახალი საზოგადოება.** ოქტომბრის ოცს დაარსდა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოება. გამგეობაში არჩეულ იქმნენ კ. ჩხენკელი ვარლ. ძიძიგური, ა. ალანია, ს. მამაცხაროვი და ვლ. გოცირიძე. საზოგადოება ამ დღეებში უკვე შეუდგება მუშაობას.

◆ **გენერალი მუსხელიშვილი.** ბათომის არტილერიის ყოფილი უფროსი გენერალი მუსხელიშვილი სამხედრო მინისტრის განკარგულებით შტატს გარეშე იქმნა დატოვებული.

◆ **თამბაქო და შაქარი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გამოიკვლია, რომ საქართველოში არსებულ თამბაქოს ქარხნებს შეუძლიანთ დაამზადონ 12 მილიონი მანეთის თამბაქო. განზრახულია, აღნიშნული თამბაქო გაცვალონ უკრაინის შაქარზე. ამის გამო სოფლად გადიდდეს შაქრის ნორმა სულზე თვეში ერთ ნახევარი გირვანქა. სოფლად შაქარი გაიყიდება გირვანქა 3 მანეთად ბოლო ნორმაზე ზევით გირვანქა 5 მანეთად.

ამ ოპერაციის საშუალებით ნავარაუდევია, რომ მთავრობის ხაზინას შეემატება 50.000,000 მანეთი.

ულიმღამო საღამო

ჰხედავ, როგორ შავ მარმაშით იჩადრება ეს საღამო,
ჩუმი, მყუდრო, უწყინარი, გაცრეცილი, ულიმღამო?
თითქოს მზესაც მოეწყინა.. არ სცალია ჩვენ საცქერად,
გაგვებუტა და მუხნარში ჩაესვენა ალმაცერად...
ქარი ოდნავ აქანავებს გადაშოლტილ არყის ტოტებს;
თითქოს ვილაც მოლიცინებს, თითქოს ვილაც მოაბოტებს...
აი, ეხლა ტბის ფერია მოივერცხლავს თასაკრავსა.
და უცნაურ ღამურ ჰანგზე ატირებს ბუკ-საკრავსა,
და, ამ ხმაზე ყოველ კუთხით ალ-ქაჯები მოვლენ მალე,
მეშინიან .. ან წავიდეთ, ან შენ გულში გადამმალე!.

რას იცინი? რად გაჩუმდი? სთქვი ან ლექსი, ან ზღაპარი,
ან მიამბე, მართლა გვყავდა მხნე-გულადი წინაპარი?
ხედავ, როგორ კუშტებად იჩრდილება ტყის ხავერდი,
მოიკუმშა კილამურა, ძლივსლა მოსჩანს მთის ალერდი,
და ეხლა რომ ისარგებლონ, თავს დაგვესხნენ ყაჩაღები,
რო ვერ ნახონ ვერაფერი თვალსაჩინო, წასაღები,
და აგვკუწონ... მაშინ... მაშინ .. მომე ხელი .. წამო ჩქარა,
გვეყო მარტო ტყეში ყოფნა. ამოდენა შიშიც კმარა!
დღეს ყველასი მეშინიან; და უფრო კი.. შენი .. შენი...
ან წავიდეთ, და ან კიდე მომეცალე... დამეხსენი.

მარიჯან.

◆ **პური.** გერმანელთაგან უკრაინიდან შემოტანილი ხორბალი ტფილისის ქალაქის წისქვილებში უკვე დაიფქვა და ამ დღეებში გაიყიდება ქალაქის მცხოვრებლებზე სახლის კომიტეტების საშუალებით. პური დაახლოვებით გირვანქა 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

◆ **საავადმყოფოები საქართველოში.** სამედიკო-სასანიტარო განყოფილება იმუშავებს გეგმას საქართველოს ტერიტორიაზე სამკურნალოების გავრცელებისათვის ერობებთან შეფარდებით.

◆ **შაქრის აღმოჩენა.** ალიხანოვის წისქვილში განსაკუთრებულმა რაზმმა აღმოაჩინა 600 ფუთი გადამალული შაქარი.

◆ **ნავთი.** კახეთში გაემგზავრა ილდოყანისა და ფხოველის ნავთიან ადგილების დასათვალიერებლად. კომისიაში შედიან: გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე, სამთო ინჟენერი აბაშიძე, გ. ფიცხელაური და გოგიშვილი.

◆ **საქართველოს მოღალატენი.** სოხუმიდან ჩამოიყვანეს იქ დატუსაღებული პიონი, რომელნიც საქართველოს ღალატისათვის აგიტაციას ეწეოდნენ მათ შორის არიან. ვლ. შარვაშიძე, ალ. დემიანოვი, დ. ლუკიანოვი, მიხ. შლატტერი, გ. აჯემოვი, ნ. კურილჩუკი, დ. ალახია, და ტ. ხორიკიანი.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ამხ. იოს. ბარათაშვილის დუშეთის გამგზავრების გამო პარტიის საქმისათვის, მისი დღევანდელი მოხსენება პარტიულ კლუბში გადადებულია სხვა დროისათვის.

სტუდენტების კრება. კვირას, ოქტომბრის 20 საღამოს 5 საათზე პარტიულ კლუბში შესდგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკუმის და ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 317 კაცი. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ამხ. კ. კობახიძე. დღიური წესრიგის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ კრებას მიესალმა მთავარი კომიტეტის სახელით ამხ. ს. დადიანი. მან თავის ვრცელ სიტყვაში გარკვევით დაახასიათა ჩვენი მდგომარეობა, როგორც წარსული, აგრეთვე დღევანდელი, გააცნო სტუდენტობას ჩვენი უფროსი ამხანაგების მუშაობას პარლამენტში და მოუწოდა მათ ფხიზელი, ენერგიული მუშაობისაკენ. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ტფილისში არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა სოც. ფედ. სტუდენტების კრებამ მოისმინა რა მოხსენება მთავარი კომიტეტის წარმომადგენელის ამხ. ს. დადიანისა, გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას ჩვენი მთავარი კომიტეტისა და ფრაქციის მოქმედების შესახებ და გადადის მორიგ საკითხზე“.

შემდეგ ძველი სტუდენტთა ბიუროს მიერ ანგარიშების ჩაბარებისა, მუხლობრივ განხილული და დამტკიცებული იქმნა, კრების მომწვევი კომისიის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა ორგანიზაციის წესდება. განსახილველი იყო აგრეთვე ჟურნალის გამოცემის საკითხი, მაგრამ საჭირო ცნობების უქონელობისა გამო იგი გადაეცა განსახილველად სტუდენტთა ბიუროს.

კრების დასასრულ წესდების თანახმად მოხდა ტფილისის სოც. ფედ. სტუდენტთა ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ბიუროს წევრებად არჩეულ არიან 6 კაცი. კ. კობახიძე, პ. კოპაძე, შ. ასათიანი, გ. სვანიძე, დ. მგალობლიშვილი, ს. აბულაძე. მათი კანდიდატები შ. კიკნაძე, ნ. აბესაძე, ქ. კარიჭაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულნი არიან: გ. ნაკაშიძე, ვ. ძიძიგური, გ. საყვარელიძე. კანდიდატად ილ. ასათიანი.

—

ხუთშაბათს, ოქტომბრის 24 პირველ რაიონის შტაბის ბინაზე, მუშტაიდის ქ. № 15, დანიშნულია ტრამვაის მუშების კრება განსახილველია ფრიად დიდი საკითხები. ყველა ამხანაგი ვალდებულია დაესწროს ამ კრებას. კრების დასაწყისი საღ. 7 ს.

—

დღეს ოთხშაბათს, ოქტომბრის 23, პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ამხ. ფარმაცევტების კრება ამხ. ვთხოვთ არ დაიგვიანონ. განსახილველია გადაუდებელი საკითხები. დასაწყისი საღ. 7 ს.

მოწაფეთა კრება. ხუთშაბათს, სრულ 5 საათზე სამკითხველოს ბინაზე (პარტიული კლუბი, ლორის-მელიქოვის ქ. № 1) შესდგება მოწაფეთა ტფილისის კომიტეტის კრება. ამხანაგებს ვთხოვთ დაუგვიანებლივ დაესწრონ.

კრება ნაძალადევში. პარასკევს, ოქტომბრის 25-ს საღამოს 7 ნახევარ საათზე ნაძალადევის ეკლესიის სამრევლო სკოლაში დანიშნულია ამ რაიონის სოც.-ფედერალისტთა კრება. ამხ. ვან. კოტეტიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მომავალი საზავო კონფერენცია და საქართველოს საკითხი“. კრებაზე პარტიის არა წევრთაც შეუძლიათ დაესწრონ მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

საქართველოს ლაშქრის პარადი

ოქტომბრის 21-ს გამართული ტფილისში მდგომ საქართველოს ჯარების ნაწილთა პარადი, ბრწყინვალედ ჩატარდა და საიმედო პერსპექტივები გადაგვიშალა ჩვენი არმიის შექმნისა და განმტკიცებისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ პარადში მონაწილე ჯარები მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი დღევანდელ ლაშქრისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაში ძლიერ შეცვლილა ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა და ჯარის შეგროვება-გაწვრთნის საქმე, პროგრესის გზით დაწინაურებულა.

ამ დღესასწაულს ხელმძღვანელობდა ცნობილი გენერალი მაზნიაშვილი რომელმაც თავის მცირე ჯარით თავი — ისახელა ტუაფსესა და არმავირის ფრონტზე.

ოქტომბრის 21-ს დღის $11^1/_2$ საათზე სასახლის ქუჩაზე დაიგუგუნა სამხედრო მუსიკამ, რომელსაც უკან მოჰყვებოდა სუფთად ჩაცმული და მწყობრად მიმავალი მე-4 და მე-5 ქვეითი პოლკის ნაწილები, სამორტირო დივიზიონის მწყობრი, მეორე საარტილერიო ბრიგადის პირველი და მეორე ბატარეია, ტყვიის მფრქვეველთა რაზმი. ქართულ ლეგიონის ნაწილი, საპიროთა და საჰაერო როტები და ცხენოსანთა ასეული. როდესაც პირველი წყება ჯარებისა, მიუახლოვდა სასახლესა და სამხედრო საკომენდანტოს, მათ შეეგება სამხედრო მინისტრი გიორგაძე, თავისი გერმანელი სამხედრო მრჩეველით, ამხანაგით და ადიუტანტებით, მას მიჰყვებოდნენ სამხედრო სექციის თავმჯდომარე ს. მდივანი, გენერლები და პარადში მონაწილე ჯარების უფროსები; მინისტრმა ჩამოუარა ჩამწკრივებულ ჯარს, მიესალმა მათ და უკანვე დაბრუნდა სამხედრო საკრებულოსთან ამ საკრებულოდან დაწყებულ ჯარს მთლად ეჭირა გოლოვინის პროსპექტის ეს ნაწილი, სასახლის ქუჩა, ერევნის მოედანი და მისი უკანასკნელი ნაწილი პუშკინის ქუჩას სწვდებოდა. ქუჩების გარეშემო ტროტუარები გაჭედილი იყო სეირის მაყურებელ ხალხით. მინისტრის მისალმების შემდეგ ჯარი დაიძრა და გოლოვინის პროსპექტით გაემართა. უკრავდა, რამოდენიმე სამხედრო მუსიკა და ხალისიანი მარშით მიემართებოდნენ მხედრები რომელთაც სამხედრო მინისტრი და გენერლები სალამით აცილებდნენ. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნაწილს უკვე მოუსწვრია გაწვრთნილი და დალაგებული სიარული ქართულის კომანდით. ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია ლეგიონის ნაწილმა, რომელსაც გერმანული რკინის წესიერება და დისციპლინა სავსებით შეთვისებული და შეგნებული აქვს მიმავალ ჯარების ფოტოგრაფიული სურათები გადაიღეს და პარადი დღის $12^1/_2$ საათზე დასრულდა.

გამართლებული იმედი

(შთაბეჭდილება საქართველოს ლაშქრის პარადზე)

გული სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობით მევსებოდა საქართველოს ლაშქართა პარადს რომ ვხედავდი. სამხედრო მუსიკის გუგუნსა და მწყობრად აჯაგრულ ხიშტების რხევას, იდუმალის თრთოლვით ვუერთდებოდი და სანატრელ სიზმარივით მეხატებოდა სამშობლოს მომავალი. თვით ჯარისკაცმა არტილერისტმა ნახევარი წელი ყაზარმასა და ბრძოლის ველზე იმ ხატვრაში გავატარე რომ დაწყობილ და გაწვრთნილ ქართველ ჯარის ნახვას მოვესწრებოდი, რომელზედაც იმედის დამყარება შეიძლებოდა.

21 ოქტომბრის პარადმა კი ამაში დამარწმუნა. დამარწმუნა აგრეთვე იმაშიც, რომ ამ დიდი დღისათვის მეც მომიხდია ზნეობრივი ვალი და ჩემი წვლილიც შემიტანია ამ იმედის გამართლებისათვის.

და სწორედ ამიტომ იყო უმაღლესი კმაყოფილება რომ განვიცადე ვიგონებ იმ შავ დღეებს ფრონტებიდან „ბოლშევიკი“ გათახსირებული დეზერტირები რომ დაგვიბრუნდნენ, რომელთაც მოშხამეს ჩვენი ერის სასიცოცხლო ატმოსფერო და საშიშ და სახიფათო მტრებად გადაიქცნენ მას. ვიგონებ ქუჩის შემზარავ ექსცესებს. პაგონების გლეჯას, სახელმწიფო იარაღისა და ქონების დატაცებას და განიავებას. მაშინ ყველასათვის დანაშაული და „სირცხვილი“ იყო ჯარში ყოფნა, ხოლო დიდი პრივილეგია ეკუთვნოდათ „ნასალდათარ“ ავაზაკებს. გარედან კი, ამ დროს საშინელი მტერი კარს გვიკაკუნებდა და სამშობლო ჩვენი, შეუბრალებელ მტერთა მეოხებით დალუპვის გზაზე იდგა და, წალეკვა მოელოდა მიწის პირიდან. ეს უდიდესი სასოწარკვეთილებისა და ყოფნა-არ ყოფნის დღე, უმთავრესად ჩვენმა უიარაღობამ და უჯარობამ გაგვითენა.

და აი, მაშინ საქართველოსთვის გულშემატკივარმა მცირე ჯგუფმა იკისრა დიდი როლი და გადასწყვიტა თავისი შეგნებით, სიცოცხლითა და სისხლით ეყიდნა სამშობლოს სიცოცხლე და გამარჯვება.

ჩვენ დავაწყეთ ჩვენი კალმები, მოვიხსენით თეთრი „მანჟეტები“ და მსგავსად გოგია დიაკვნისა, გავლესეთ ხმლები და შევებით, ჩვენის სოციალისტურის პრინციპებით ათვალწუნებულ მილიტარისტულ ქაპანში. ეხლა თამამად შემიძლიან ვსთქვა. რომ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს ერსაც შეუძლიან იამაყოს ამ ჯგუფის მიერ გადადგმულ ნაბიჯით, რადგან მასში გამოიხატა თვით საქართველოს ტრადიცია და მისი რაინდული პოტენცია რამაც სხვათა შორის 21 ოქტომბრის პარადსაც ჩაუყარა მტკიცე საძირკველი.

უკალოდ დაკარგულ ბათომის ტრაგედია საფუძვლად დაედო საქართველოს მოწინავე ნაწილის გამოფხიზლებას, ხოლო ჩვენ ორიოდე სანაცვლო რევანში გადაუხადეთ ოსმალეთს ახალციხისა და ახალქალაქის მიდამოებში, რამაც ფრთა მოჰკვეცა მის ვერაგ ავანტიურას.

ცხინვალსა, დარიალსა, ლეჩხუმსა და სამეგრელოში გამოჩენილმა ვაჟკაცობამ კი საბოლოოდ გადაჭრა საქართველოს თვითარსებობის საკითხი და ყველა დარწმუნდა, რომ გვაქვს უნარი ჯეროვანი პასუხის გაცემისა და მტრებმა დაუშვეს უძლური ხელები და შეურიგდნენ საქართველოს არსებობის აზრს. დარიალში ამოღებული საქართველოს ხმალი. ძაუგში პანიკას იწვევს, ხოლო არმავირთან გაშლილი ჩვენი დროშა, აღელვებს საქართველოს დამოუკიდებლობის პატივისცემაზე ალაპარაკებს,—ბადიაურში მისულ ჯავახოსანს შემდეგ კი, გორელები კითხულობენ: სარომდიოთ გვიბრძანებს მთავრობა ჯარის გამოყვანა-

სათ ყველა ეს შესაძლებლობა შექმნა იმ ახალგაზრდა ინტელიგენტთა მცირე ჯგუფმა და მუშების მოწინავე ნაწილმა სახალხო გვარდია რომ ჰქვიან. ორივე ეს ჯგუფი შეთანხმებით უშვერდა მკერდს მტრის ტყვიას და მით იცავდა სამშობლოს და მშრომელი ხალხის თავისუფლებას.

ეხლა უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენგან გაწირულ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მსხვერპლის წყალობით, საბოლოოდ გადაიტანა სამშობლომ შინაური კრიზისი და ჩვენს ეროვნულ სიმტკიცეს საფუძველი ჩაეყარა. რასაკვირველია არ გავკადნიერდები და მთავრობას ჭკუის სწავლებას არ დაუწყებ, მაგრამ უსათუოდ დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ ასეთი ხელსაყრელი მომენტი ჩვენი ჯარის შექმნისა, ხელიდან არ გაუშვას მთავრობამ რათა საბოლოოდ არ გაგულცივდეს ხალხი სამხედრო მოვალეობისადმი. მე მხედველობაში მაქვს ის ჩვეულება, ჩვენს ჯარის ხელმძღვანელებს რომ სჩვევიათ, მაგალითად, რომელიმე ახლად გაწვეული ჯარის-კაცი გაიპარება და გაიტაცებს სახელმწიფო ნივთებს, მათი უფროსები ზოგიერთ შემთხვევაში, ენერგიულ ზომებსაც მიჰმართავენ ამ დეზერტირების დასაჭერად, დაიჭერენ კიდეც, მაგრამ აპატიებენ ამ უდიდეს დანაშაულს, რაიც ხელს უწყობს ჩვენი ჯარის კვლავ გახრწნას და სამუდამოდ დაღუპვას. მე არავისი სისხლი მწყურიან, მაგრამ თუ კი ამას სახელმწიფოს არსებობის ინტერესი მოითხოვს, რამოდენიმე მსხვერპლი უნდა გაიწიროს და ასეთი პირველი რიგის დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ ჩვენი არმიის სიმტკიცისა და დისციპლინისათვის. მართალია, საქართველოს პარლამენტში ერთი დიდი ფრაქციის წარმომადგენელი ჩვენს ჯარს უხეშ ძალას უწოდებს, მაგრამ როდესაც გარეშემო ჩვენს დასაღუპავად ათასი უხეში ხელია გამოწვდილი, მათ საპასუხოდ ასეთი „უხეში" ძალის შექმნაა საჭირო და არა ალტრუისტური მიტინგები და პროკლამაციები.—ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, ამ ჭეშმარიტებას უკანასკნელ დღეებში მომხდარი სანაინისა და მანთაშევის ქარვასლის ამბებიც კარგად გვიმტკიცებს მაშასადამე, საქართველოს საზღვართა განმტკიცებისა, ავანტიურისტ მტერთა დაწყნარებისა და ჩვენი თავისუფლების შენარჩუნებისათვის საჭიროა ჯარი რკინის დისციპლინით, რადგან ეს ერთად ერთი ყავარჯენია, დღევანდელ პირობებში საქართველო რომ უნდა დაეყრდნოს.

ს. ფაშალიშვილი.

ექიმთა ყრილობის მისალმებანი

სამხედრო ექიმთა პირველმა ყრილობამ გაუგზავნა შემდეგი დეპეშები:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ჩხეიძეს:

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და გამოსთქვამს სიხარულს, რომ მთელი რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადი ხელმძღვანელობს დღეს საქართველოს ნორჩ პარლამენტს და იმედოვნებს რომ თქვენ ქართველ ერს წაიყვანთ ბედნიერი გზით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერს ნოე ჟორდანიას:

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერს და გამოსთქვამს სიხარულს, რომ ძველი დამცველი დემოკრატიის წეს წყობილებათა დღეს დღეობით წინამძღოლობს ნორჩ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და იმედოვნებს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა აღორძინდება და გამაგრდება.

სამხედრო მინისტრს:

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარის სათავეში მდგომს და იმედოვნებს, რომ ქართველი ერის ჯარის სანიტარული მდგომარეობა, მისი და ექიმთა შეთანხმებული მუშაობით, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე იქნება დაყენებული. ექიმები მუდამ მზად იქნებიან თავიანთი ძალღონე შესწირონ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის კაცთა ჯანმრთელობას და მის ფაქიზად მოვლა პატრონობას.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს:

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის თქვენი სახით საქართველოს პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტს მ სინათლის და ცოდნის მომფენს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოში მომზადდებიან მამულისა და მეცნიერებისათვის თავდადებული მუშაკნი.

საქართველო და უცხოეთის პრესა

(დასასრული)

ამ აღმაშფოთებელ წერილს მელიქიანცისას პასუხი გასცა კ. ცაგარელმა „ვოზროჟდენის" ფურცლებზე, მაგრამ ვინაიდან ცაგარელს სამწუხაროდ ფაქტები ხელთ არ ქონდა, რადგან რუსეთში საქართველოდან ერთ წელზე მეტია არ მოდის გაზეთები ამიტომ მისი პასუხი კოჭლობდა ცალმხრივობით და ფაქტების უქონლობით. ამ გარემოებამ ხომ უფრო გაათამამა „სომხეთა მეცნიერი" მელიქიანცი გადმობარგდა თვით „ვოზროჟდენიის" ფურცლებზე და არამც თუ უკან წაიღო ბრალდებანი, უფრო მეტის რიხით იწყო წერა, ტონს აუმაღლა, ფაქტები სრულიად გადაამახინჯა.

ვიქონიოთ მოთმინება და კიდევ გადავხედოთ, რასა სწერდა მელიქიანცი სექტ. 18 „ვოზროჟდენიეში" (№ 144) წერილი იწყება ბრჭყალებში ჩასმული სათაურით: „ერთგულება ინტერნაციონალისადმი ქართველ მენშევიკებისა".

„ქართველი მენშევიკების ლეიბ ორგანო „ერთობა" ამა წლის ივლისის 18 № ში სწერდა სომეხ დაშნაკელების შესახებ:

„პარტია, რომელიც დემონსტრატიულად იყურება რუსეთსა და ინგლისისაკენ, ჩვენ ქეთილს არ დაგვაყრისო", ასეთი სომხური პარტიები წარმოადგენენ ამ „ცნობილ ნაწილს სომეხთა ერისას", რომელიც ცდილობს რუსეთთან პოლიტიკურ გაერთიანებას. არა რეაქციონური ნაწილი სომხებისა.

(სომეხ ერში, ამტკიცებს მელიქიანცი არ არის ჯგუფი კადეტებზე მემარჯვენე) ცდილობს რუსეთთან შეერთებას, არამედ მისი სოციალისტური დემოკრატია, დაშნაკელებისა, ესერებისა და მენშევიკების, აგრეთვე მოწინავე ბურჟუაზიის—კადეტების სახით. არც ერთი ერი ამიერკავკასიისა ისე მთლიანად არ წარმოადგენს წმინდა დემოკრატიას, როგორც სომხის ერი. არა ნაკლები სომეხთა 80 პროცენტისას შეადგენენ ამიერკავკასიაში მცირე მიწებიანი და სრულიად უმიწო გლეხობა, დანარჩენი 20 პროცენტს შეადგენენ ვაჭარ-მრეწველნი, ქალაქის პროლეტარიატი და ინტელიგენცია. ისტორიულ პირობათა გამო სომეხ ერს არა ჰყავს არც ფეოდალური კლასი, არც ჩინოვნიკური მაშინ როდესაც მხოლოდ ასეთი კლასები წარმოადგენენ ნაყოფიერ ნიადაგს ყოველგვარ რეაქციისათვის. ამ მხრით საინტერესო სურათს წარმოადგენენ მრავალრიცხოვანი და ორგანიზაციულად შეკავშირებულნი ქართველი თავად-აზნაურები ეს თავად-აზნაურობა მეფის რეჟიმის დროს ყოველთვის ძრწოდა თვითმპყრობელობითი რუსეთის წინაშე, იღებდა სუბსიდიებსა, მოწყალებასა და საჩუქრებს თავის დასაღუპავად გამზადებულ წოდების გასამაგრებლად და დღეს რუსეთში დეკორაციის გამოცვლასთან ერთად ქართველი თავად-აზნაურობა ყოველ დღე ათრევს და ლანძღავს როგორც რუსის ერს, ისე რუსეთს და ამ დროს, როგორც შეეფერება საზიზღარ მონას გუნდრუკს უკმევს თათრების ფაშებსა და „ძლავრთა ამა ქვეყნისათა".

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამ „სასახელო" საქმეში მათა ჰყავთ ღირსეული ლაქიები ქართველ მენშევიკთა ბანაკიდან". ამის დასამტკიცებლად მელიქიანცს მოჰყავს სიტყვა სამხედრო მინისტრის გიორგაძისა, თქმული აგვისტოს 6 ხალილ-ფაშის შეგებების დროს.

ასეთია მელიქიანცის აზრით საქმის ვითარება ამიერკავკასიაში, ამნაირია ქართველი ერი. მის თვალში ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ უღალატა ინტერნაციონალს, შემდეგ რუსეთს. ქართველი თავად-აზნაურობა ლანძღავს და აგინებს რუსეთს, ხოლო გუნდრუკს უკმევს ოსმალეთის ფაშებს. ყველა ამითი მელიქიანცი ცდილობს დაუმტკიცოს რუსის საზოგადოებას ერთგულება სომხის ერისა მათდამი და ღალატი ქართველებისა.

„უნდა შევნიშნო, განაგრძობს მელიქიანცი, რომ დაშნაკელთა გაზეთ „ჰორიზონის" აგვისტოს 10 ს №-ში პირდაპირ ნათქვამია ქართველ „ინტერნაციონალისტებზე", რომ მათ ჯერ კიდევ 1917 წლიდან გამართეს ჩუმი მოლაპარაკება „ამა ქვეყნისა ძლიერებთან", „წერილობითი აქტებითა" და „ხელის მოწერით" ჩამოაყალიბეს ეს მოლაპარაკება".

ამავე დროს, მელიქიანცის მტკიცებით, სომხები რუსის მოხალისე რაზმებთან ერთად ებრძვიან ოსმალოებს, სცურავენ სისხლის მორევში; იგინი, „გადახვეწილნი სადღაც ერევნის და განჯის გუბერნიებში" შიმშილით სწყდებიან, მაგრამ რუსეთთან იდეურსა და ზნეობრივ კავშირს მაინც არ სწყვეტენ. დაე, რუსეთში დღეს ქაოსი იყვეს გამეფებული, იგი მაინც დიადია, იგი ცოცხალია და არც არასოდეს მოკვდება. დაე, იგი (რუსეთი) თავისი საკუთარი „სივიჟის" გამო დროებით დაინგრეს, გარდაიქცეს „ყაჩალთა" მასად, მისი უკვდავი სული მაინც იარსებებს, ერთი წუთითაც არ შესწყდება და ბუნების რკინის კანონის წყალობით, კვლავ დაუბრუნდება მას სალი, განახლებული სხეული. მაშინაც კი, გვასწავლის ჭკუას მელიქიანცი, თუ ბედს ესურვება მიანიჭოს დამოუკიდებელი არსებობა სომხეთსა და საქართველოს, მათივე ინტერესები თხოულობს იყვნენ დიდებულ რუსის ხალხთან, რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი".

ყველა ამ ლამაზ სიტყვებით რაც უნდა სთქვას მელიქიანცმა და მისმა კამპანიამ, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით აქ საქართველოში, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ, არ იციან იქ რუსეთში, სადაც ჯერ კიდევ გასავალი აქვს მელიქიანცების იაფ-ფასიან სიტყვების ბრახუნს.

რუსეთის პოლიტიკური ცა იღრუბლება, მელიქიანცებს რეაქციის მოახლოვება ელანდება და სცდილობენ ამ დღისთვის მომზადებულნი იყვნენ. ჩვენ გვესმის მელიქიანცების სულის კვეთება, მაგრამ ნეტავი როდის იქნება ჩვენი მეზობელი ერის დემოკრატიამ ალაგმოს ეს არამკითხე, მეტიჩარა „ვექილები", ეს ხალხის ცრუ მებაირახტრენი?

ხარკოვში სომხები ბლომად არიან, როგორც ვაჭრები ისე ინტელიგენცია, განსაკუთრებით სტუდენტობა. მელიქიანცი მათი ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარეა, ასეა თუ ისე საპატიო როლს თამაშობს და მის ამგვარ გამოსვლაზე არამც თუ ხმა ამოიღო ვინმემ, ასე გასინჯეთ, იმ ნომრებს, სადაც მელიქიანცთა წერილები იბეჭდებოდა, სტუდენტები განგებ ავრცელებდნენ რუსის საზოგადოებაში. რა ნაყოფი მოაქვს ასეთ მუშაობის? ის რომ, ამგვარ ვაჟბატონთა წყალობით დაზარალდა უპირველეს ყოვლისა სომხის დემოკრატია. მოვიგონოთ თუნდა უკანასკნელ დროის ბაქოელთა ტრაგედია. სომხის მშრომელი ხალხის უსაშინელესი ტანჯვა, მათი ხოცვა და ჟლეტა ხომ მელიქიანცისა შრომის ნაყოფია. მათ უნდათ სხვის უბედურებაზე ააშენონ თავიანთი ბედნიერება, და ამიტომ რაც მალე ალაგმავს სომხის მშრომელი ხალხი მელიქიანცებს, მით უფრო მალე დაადგება სომხის ერი სწორს გზას. დროა კი სომხის დემოკრატიამ ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას და მოუსპოს საშუალება ამ ცრუ მებაირახტრებს სომხის ერის სახელით ვაჭრობისა. ჩვენ კი განვაგრძობთ მუშაობას პატიოსანი, ნორჩი რესპუბლიკის სასარგებლოდ და მელიქიანცთა ბრალდებანი განიფანტებიან ისე, ვით კვამლი უდაბნოში.

დ. იაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

დრამატიულ კურსების გახსნა.

საკლასო მხატვრის ნ. ბ. ტაბეცკის მეთაურობით ტფილისში იხსნება სრულუფლებიანი დრამატიული კურსები. კურსები იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში.

ამ კურსების გახსნის მიზანია, სასცენო მოღვაწეთა გაწვრთნა-მომზადება და დემოკრატიულ წრეებში სათეატრო ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება კურსები გაიხსნება ოქტომბრის 25-ს და თითო სემესტრი განისაზღვრება ოთხის თვით, ასწავლიან შემდეგ საგნებს დეკლამაცია, სასცენო ხელოვნების თეორია და პრაქტიკა, დრამატიულ ლიტერატურის და დრამის ისტორია. ზოგადი, ქართული და სომხური,—თეატრისა და კულტურისა და კოსტიუმის ისტორია, მიმიკა, პლასტიკა, ცეკვა, გიმნასტიკა, ფარიკაობა, ჰიგიენა, მუსიკის თეორია, გუნდური სიმღერა, შემოქმედების თეორია, სასცენო ხელოვნების პრაქტიკა, ქართულსა და სომხურ ენებზე და სხვა საგანში. მასწავლებელთა რიცხვში შედიან: ვასო აბაშიძე, ნ. პ. ბუჟანნეკი, ფ. ვ. კავერეცი, სერ გეი, სერ. გოროდეცკი, ნ. ა. დიმოვი, კ. ი. ივანოვი, ა. ა. ლობანოვსკი, ი. ნ. ნარიმანოვი, იაკ. ნიკოლაძე, ფ ნ. პალიაევი, ფ. ვ. რადოლინი, ნ. ბ. ტაბეცკი, მ. ტრეტნოვი, ა. რ. წუწუნავა, შირვან ზადე და ვ. ფ. შჩედრინსკი.

ამ კურსების პირველ ხარისხის მოწმობით გათავებულს ენიჭება თავისუფალ მხატვრის სახელწოდება.

მოწაფეებს ექნებათ განსაკუთრებული საკურსო ნიშანი დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ლ. ა. ხარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 აჭარის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩ. № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი ი. ი. ბერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34. 301

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მახარაძის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი ვასილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ზ. შიშლო-სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9 ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდუბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ზ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—[illegible] და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, ფაუის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლლუქსი, განსაკუთრებული საკადები დ'არსონვალისა ფილტვის სნეულებისათვის; გულის ავადმყოფობით, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ. დოლიძინიძა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი ი. ქ. აბაკიძე შინაგანი ავადმყოფობა [illegible] ავადმყოფობანი გულის [illegible] სასუნთქისა ფილტვების [illegible] და ჯირკვლებისა. ამოცნობა [illegible] და წამლობა ყოველი გვარი ქლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12 1060

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევინზონისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ჭაქებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 35, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ვრლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ვგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ს. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. მ. აგასაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი

ს გ. ავეტისიანი 9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ს გ ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. იხკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. **ნავასარდიანი**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა